

# COVID-19-ის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა და ქართული პრირუსული წყაროების რეაქცია



ავტორი: კობა ლანაშვილი  
საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2020

რუსეთი ირწმუნება, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა უკვე **დაამზადა**. მოსკოვის თანახმად, ის ვაქცინის მასობრივი წარმოების დაწყებას სექტემბერში, ხოლო მასობრივი ვაქცინაციის დაწყებას ოქტომბრიდან **გეგმავს**. ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ ვაქცინამ ყველა საჭირო შემოწმება გაიარა და, მეტიც, ის მისმა ქალიშვილმა უკვე **მიიღო**. რუსეთის პრეზიდენტმა ისიც **განაცხადა**, რომ ვაქცინა ეფექტიანად მუშაობს, ძლიერ იმუნიტეტს აყალიბებს და ყველა საჭირო შემოწმება გაიარა.

რეალურად რუსული ვაქცინის ტესტირება საკმაოდ დაჩქარებულ რეჟიმში ჩატარდა. ვაქცინაზე მომუშავე მკვლევრები იმასაც ამტკიცებენ, რომ დროის დაზოგვის მიზნით, ვაქცინა საკუთარ თავზე გამოსცადეს. რუსეთის კლინიკური კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციამ აღნიშნულ ნაბიჯს **კლინიკური კვლევების პრინციპების უხეში დარღვევა უწოდა**. ვინაიდან **რუსული ვაქცინა სრულად ტესტირებული არაა**, მას **გვერდითი მოვლენების გამოწვევისა და არაეფექტიანობის მაღალი რისკი აქვს**. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ვაქცინების უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორის, დანიელ სალმონის **განცხადებით**, რუსეთის მხრიდან **ტესტირების მესამე ფაზის გამოტოვება სახიფათო ნაბიჯია**, რადგან ამ ფაზაში უნდა დადასტურდეს ვაქცინის ეფექტიანობა და უსაფრთხოება. დანიელ სალმონის მსგავსად, სხვა მეცნიერების ძალიან დიდი ნაწილიც **რუსულ ვაქცინას სარისკოდ მიიჩნევს**.

რუსეთის მიერ შემუშავებული კორონავირუსის ვაქცინის უსაფრთხოებასა და ეფექტიანობაში ექვი აშშ-ის მთავარმა ეპიდემიოლოგმა, ენტონი ფაუჩიმაც, **შეიტანა**. მისი აზრით, ყველას შეუძლია გამოაცხადოს, რომ ვაქცინა აქვს, თუმცა მთავარია, მისი უსაფრთხოება და ეფექტიანობა კვლევებით დადასტურდეს. ფაუჩიმ იმედი გამოთქვა, რომ „რუსები (და ჩინელები) ვაქცინას რეალურად ტესტავენ, სანამ მას ვინმეს გამოუწერენ“. ერთ-ერთ ინტერვიუში, ფაუჩიმ ვაქცინასთან დაკავშირებით ექვები ღიად გამოთქვა და **აღნიშნა**, რომ მას ვაქცინის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელ კვლევებზე არ **სმენია**.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, ამირან გამყრელიძის, **განცხადებით**, **რუსულ ვაქცინას ჯერ დიდი, ფართომასშტაბიანი, მესამე ფაზის კვლევები არ გაუვლია, ან თუ გაუვლია - მისი შედეგები გამოქვეყნებული არ არის**. ამდენად, გამყრელიძე რუსულ ვაქცინას სკეპტიკურად უყურებს: „ამ ვაქცინასთან დაკავშირებით გარკვეული სკეპტიციზმი არის საერთაშორისო სამეცნიერო პრესაში და მოგეხსენებათ, რომ არ არის გასაჯაროებული კვლევების შედეგები, არც პირველი-მეორე ფაზის და არც განსაკუთრებით მესამე ფაზის“. ამავე საკითხზე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ და ლუგარის ცენტრის ხელმძღვანელმა, პაატა იმნაძემ, რუსულ ვაქცინასთან დაკავშირებით ირონიული **კომენტარი** გააკეთა და შეთქმულების თეორიის მიმდევრებს მიმართა: „გულწრფელად მაინტერესებს, აქ ხომ არის გარკვეული კატეგორია ადამიანების, ვისაც ჰგონია, რომ ბილ გეიტსმა უნდა „დაჩიპოს“. ახლა მაინტერესებს, რუსულ ვაქცინაში ბილ გეიტსი როგორ ჩადგამს თავის ჩიპებს, რომ დაჩიპოს?! სერიოზულად თუ გიპასუხებთ, ძალიან დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა ამ ვაქცინის გამოცდა. მის ხარისხზე, კვლევის შედეგებზე, ფაზებზე, რამდენ ადამიანზე იყო დატესტილი, რა შედეგები ჰქონდა, სამწუხაროდ, ვერაფერს მოგახსენებთ“.

კრიტიკის მიუხედავად, რუსეთის მარეგულირებელმა ორგანომ ვაქცინა გამოყენებისთვის ტესტირების მესამე ფაზის გავლის გარეშე დაამტკიცა (ვაქცინის ტესტირების შესახებ ზოგად ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ „ვაქტ-მეტრის“ [სტატიაში](#)).

საქართველოში პრორუსულმა მედიამ რუსეთის მიერ ვაქცინის დამტკიცება სხვადასხვანაირად გააშუქა, თუმცა თითოეულმა მათგანმა რუსული პროპაგანდის ნარატივები გაავრცელა.

### „საქართველო და მსოფლიო“

გაზეთმა „საქართველო და მსოფლიო“ „რუსეთში შექმნილი ანტიკორონავირუსული ვაქცინის შესახებ“ მკითხველს რუსულ მედიაში ცნობილი „ექსპერტის“ იაკობ კედმის ინტერვიუ [შესთავაზა](#). „საქართველო და მსოფლიომ“ იაკობ კედმი მკითხველს „ნეიტრალურ ექსპერტად“ წარუდგენა, თუმცა ის რუსეთის სხვადასხვა დანაშაულის გამართლებითა და რუსული პროპაგანდის ნარატივების გავრცელებით [გამოირჩევა](#). ინტერვიუში აღნიშნულია, რომ რუსეთის მიერ ვაქცინის შექმნა ბევრმა ქვეყანამ აღიარა, მაგრამ აშშ, დიდი ბრიტანეთი და გერმანია „ჩვეულებისამებრ დაეჭვდნენ და განაცხადეს, რომ „ამ პრეპარატის წარდგენა მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის მიერ საკმარისი არ არის“. სტატიაში განმარტებულია, რომ ვაქცინა წინასწარ დაარეგისტრირეს, რათა კლინიკური კვლევების წარმატებით გავლის შემთხვევაში მისი წარმოება, დაუყოვნებლივ, პირველ ოქტომბერს დაიწყო. თუმცა ეს ნაბიჯი რისკის შემცველია, რადგან გამოცდის შედეგები შეიძლება უარყოფითი იყოს.

სტატიაში მოწონებულია რუსეთის მიერ გამოყენებული მეთოდი, რაც ვაქცინის უპირველესად ექიმებზე გამოცდას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდს თავად რუსეთის კლინიკური კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია კლინიკური კვლევების პრინციპების უხეშ დარღვევას უწოდებს.

პუტინის პროპაგანდისტული ნაბიჯი, რაც გამოცდაში მისი ქალიშვილის მონაწილეობას გულისხმობს, „საქართველო და მსოფლიოს“ სტატიაში ასევე დადებითად არის შეფასებული. ინტერვიუში პირდაპირ ვხვდებით კრემლის პროპაგანდისტულ მესიჯებს:

1) ვაქცინა „მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში“ შეიქმნა და კვლევის ხელმძღვანელი, ვლადიმერ გინზბურგი, „საუკეთესო სპეციალთაგანია“.

2) ვაქცინის ტესტირების „ყველა გამოცდა წარმატებითაა გავლილი“ და „ყველა მიიჩნევს, რომ კლინიკური გამოცდა წარმატებული იქნება“; „რუსეთი არ გადაახტა მესამე ეტაპსაც და ამ საფეხურსაც გაივლის“; „ყველა პროცესი, რომელსაც მედიცინა მოითხოვს, დაცულია: გავლილია პირველი და მეორე ეტაპები. ახლა დაიწყება მესამე...“.

3) რუსული „ვაქცინის შესახებ“ ხმაური „არასაკმარისი გამჭვირვალობის“ მოტივით ატყდა. თუმცა „თუ რამე გაუგებარია, ჰკითხონ გინზბურგს“ („ჰკითხეს კი რამე გინზბურგს?... ითხოვეს რამე და არ მიუციათ? არა“); რუსეთს სხვა „დიადი დემოკრატიებისგან განსხვავებული არაფერი განუცხადებია“ და, ასევე, მზად არიან, ნებისმიერ ქვეყანას მიაწოდონ დოკუმენტაცია

და დაეხმარონ წარმოების დაწყებაში. მეტიც, რუსეთი მსოფლიოს ვაქცინის კი არ მიჰყიდის, არამედ - [უფასოდ] მისცემს.

4) კედმი სვამს კითხვას უფრო გამჭვირვალეა თუ არა, დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდის ვაქცინის გამოცდები ვიდრე რუსეთში და რა აჩვენებს მათ მსოფლიოს ისეთი, რაც რუსეთს არ უჩვენებია. იგი კითხვას თავადვე პასუხობს, რომ „მსგავსი არაფერი ყოფილა“.

5) დასავლეთის პრეტენზიები უსაფუძვლოა და გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ „რადაცით დაჯაბნეს მოწინავე დასავლური მედიცინა“.

6) სტატია ცდილობს დასავლური მედიის (მაგალითად, „ნიუ იორკ თაიმსის“) დისკრედიტაციას და მათ არაკომპეტენტურად წარმოჩენას, რადგან რუსეთის მიერ დარეგისტრირებული კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა გააკრიტიკა. „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, დასავლეთის კრიტიკას „კავშირი არ აქვს სიმართლესთან“ – „რუსებს არ დაურღვევიათ არც ვაქცინის შექმნის, არც მისი გამოყენების სქემა“.

7) კედმი რუსეთის მიერ კორონავირუსთან ბრძოლასაც აქებს - ტესტირების მაღალ დონეს და საავადყოფოების აშენებას. ხოლო დასავლეთს აკრიტიკებს, რადგან აღნიშნული არ გააშუქა.

აღნიშნული მტკიცებები რუსული პროპაგანდისა კლასიკური გამოვლინებაა და ისინი დეზინფორმაციის ელემენტებს შეიცავს. კედმის სიტყვები დასაწყისში განხილული რუსული ვაქცინის შესახებ კრიტიკასა და რეალურ ინფორმაციას არგუმენტირებულად არ უპირისპირდება. მეტიც, მკითხველს მოუწოდებს, რუსული ვაქცინის გამოცდის შედეგების შესახებ რაიმე ხელჩასაჭიდი ინფორმაციის წარმოდგენის გარეშე, მისი უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესახებ ირწმუნოს.

საინტერესოა ისიც, რომ ვაქცინის ტესტირების დაჩქარების გამო ბრიტანულ, ოქსფორდის, ვაქცინასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიომ“ საკმაოდ კრიტიკული სტატია [გამოაქვეყნა](#). სტატიაში გაზეთი ბრიტანეთის ვაქცინის ეფექტურობასა და უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს და ბრალს დებს არასაკმარისი კვლევის გამო, მაშინ როდესაც რუსულ ვაქცინასთან დაკავშირებით, რომელსაც რეალურად მართლაც აქვს პრობლემები კვლევის სრულფასოვანი გავლის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ არანაირი კითხვა გასჩენია. (სრულად შეგიძლიათ იხილოთ „ფაქტ-მეტრის“ [სტატიაში](#) - „პრორუსული მედიის მორიგი მანიპულაცია COVID-19-ის ვაქცინის შესახებ“). ბრიტანული ვაქცინა გამოცდის მესამე ეტაპის გავლამდე არაა დარეგისტრირებული, განსხვავებით რუსული ვაქცინისა. ოქსფორდის ვაქცინის კვლევების შედეგები საჯაროა და ყველასათვის ხელმისაწვდომია (ბმულები შეგიძლიათ იხილოთ „ფაქტ-მეტრის“ [სტატიაში](#)).

ამასთან ერთად, საინტერესოა, რომ „საქართველო და მსოფლიო“ ზოგადად ვაქცინის საწინააღმდეგო გზავნილებსაც [ავრცელებდა](#) და წერდა, რომ „ბილ გეიტსი ვაქცინებს ადამიანების უნაყოფობისთვისა და მათი გამრავლების უნარის მოსასპობად ქმნის“.

## „სპუტნიკი“

რუსული კორონავირუსის ვაქცინა „სპუტნიკ V“-თან (ვაქცინის დასახელება) დაკავშირებული პროპაგანდის გავრცელებაში რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის, „სპუტნიკის“, ქართული რედაქციაც ჩაერთო. თავდაპირველად, 6 ივლისს, „სპუტნიკმა“ რუსული ვაქცინის ტესტირების შესახებ ვიდეო გამოაქვეყნა სათაურით - „ჯანმო დაინტერესებულია COVID-19-ის რუსული ვაქცინით - ვიდეო“. ვიდეოში ექიმებისა და ტესტირებაში მონაწილე მოხალისეების ინტერვიუებია ჩაწერილი. ვიდეოში ნათქვამია, რომ ვაქცინის ტესტირება წარმატებით მიმდინარეობს.

შემდგომ, 29 ივლისს, „სპუტნიკმა“ ნეიტრალური ხასიათის სიახლეები გამოაქვეყნა რუსული ვაქცინის ტესტირებაში მოხალისეების მონაწილეობის მრავალი მსურველისა და ვაქცინის ბავშვებზე გამოცდის დაწყების შესახებ. აგვისტოდან რუსეთის საერთაშორისო პროპაგანდასთან ერთად „სპუტნიკის“ ქართული რედაქციაც გააქტიურდა. „სპუტნიკის“ ქართულმა რედაქციამ განაცხადა, რომ „რუსეთმა ანტიკორონავირუსული ვაქცინის კლინიკური გამოცდები დაასრულა“ და „უკვე მიმდინარე წლის ოქტომბრიდან რუსეთში კორონავირუსულ ინფექციაზე ადამიანების მასობრივი ვაქცინაცია იგეგმება“.

ერთ-ერთ მომდევნო პუბლიკაციაში, „სპუტნიკმა“ სტატიის სათაურშივე გაუსვა ხაზი, რომ რუსული ვაქცინა „მსოფლიოში პირველია“ და შემდგომ „რია ნოვისტიზე“ დაყრდნობით განაცხადა, რომ „კვლევების დროს, რომელშიც 38 მოხალისე იღებდა მონაწილეობას, ვაქცინის უსაფრთხოება და ეფექტურობა დადასტურდა“.

„სპუტნიკი“ კლინიკური კვლევების მესამე ეტაპის ჩატარების გარეშე წერს, რომ ვაქცინის კლინიკური გამოცდები დასრულდა და მისი უსაფრთხოება და ეფექტურობა დადასტურდა. სტატიაში - „ყველაფერი COVID-19-ის რუსული ვაქცინის შესახებ“, სადაც „სპუტნიკს“ ინტერვიუს გამალეის სახელობის ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, დენის ლოგუნოვი, აძლევს, აღნიშნულია, რომ ვაქცინის უსაფრთხოება და ეფექტურობა კლინიკური ცდების ჩატარებამდე გამოიკვლიეს, შემდეგ ორი კლინიკური კვლევა ჩატარეს, რომლებმაც „ვაქცინის უსაფრთხოების კარგი პროფილი და მაღალი იმუნოგენურობა გამოავლინეს“. ინტერვიუში ისიცაა ნათქვამია, რომ პირველ და მეორე ფაზებში სულ 76 ადამიანი მონაწილეობდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის მარეგულირებლებმა ვაქცინა ფართომასშტაბიანი კვლევის გავლამდე დაამტკიცეს. თუმცა „სპუტნიკის“ სტატიაში აღნიშნული ფაქტიც გამართლებულია.

27 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაში „სპუტნიკი“ „რია ნოვისტიზე“ დაყრდნობით აღნიშნავს: „რუსეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც COVID-19-ის წინააღმდეგ პრეპარატი დაარეგისტრირა, თავად ვაქცინა მუშაობს ეფექტურად, აყალიბებს მდგრად იმუნიტეტს და გავლილი აქვს ყველა საჭირო შემოწმება“. 4 სექტემბერს, „სპუტნიკმა“ კიდევ ერთი პროპაგანდისტული სტატია გამოაქვეყნა სახელწოდებით - „საბოლოო პასუხი:“ The Lancet-ი რუსული ვაქცინის კვლევის შედეგებს აქვეყნებს“. სტატია რუსულ ვაქცინასთან დაკავშირებული კრიტიკისთვის „საბოლოო პასუხის“ გაცემას ისახავს მიზნად და ამტკიცებს, რომ ვაქცინის უსაფრთხოება და ხანგრძლივი იმუნიტეტი დადასტურებულია და ის

შემთხვევათა 100%-ში მუშაობს. მეტიც, სტატია ამტკიცებს, რომ ვაქცინა „უნიკალური ორვექტორიანი ტექნოლოგიით“ შეიქმნა და ბრიტანულ ვაქცინაზე უკეთ არის ტესტირებული. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ რუსული ვაქცინა „ერთადერთი უსაფრთხო ტექნოლოგიაა“, ხოლო ბრიტანული და ამერიკული ვაქცინების უსაფრთხოება ეჭვქვეშაა დაყენებული.

რუსული ვაქცინიდან ყურადღების გადატანის მიზნით, „სპუტნიკი“ ბრიტანულ და ამერიკულ ვაქცინებს ესხმის თავს. რუსული ვაქცინის პროპაგანდირებას ემსახურება „რია ნოვოსტიზე“ დაყრდნობით გამოქვეყნებული კიდეც ერთი სტატია, სადაც „სპუტნიკი“ წერს, რომ „კლინიკური გამოცდებისას პრეპარატმა კვლევის მონაწილეების 100 პროცენტს ჩამოუყალიბა მდგრადი ჰუმორალური და უჯრედული იმუნური პასუხი და ამავდროულად, არ გამოუწვევია არანაირი არასასურველი რეაქცია არც ერთი კრიტერიუმით“.

გარდა ამისა, რუსული ვაქცინის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის და რუსეთის „პირველობის“ საჩვენებლად „სპუტნიკი“ რუსული ვაქცინის ექსპორტზეც საუბრობს. მაგალითად, „სპუტნიკი“ რუსი მაღალჩინოსნების განცხადებებზე დაყრდნობით წერს:

- „რუსეთმა უკვე ოცზე მეტი ქვეყნის განაცხადი მიიღო კორონავირუსული ვაქცინის ჯამში მილიარდი დოზის შეძენაზე“;
- „რუსეთმა უკვე მოილაპარაკა ვაქცინის წარმოების შესახებ ხუთ ქვეყანასთან, რომლებსაც არსებული სიმძლავრეები საშუალებას აძლევს წელიწადში 500 მილიონი დოზა გამოუშვან“.
- „ვენესუელა COVID-19-ის რუსულ ვაქცინას სექტემბერში მიიღებს“ და „ვენესუელის პრეზიდენტი აპირებს ცესკოსთან ერთად განიხილოს არჩევნებში მონაწილე დაახლოებით 15 ათასამდე კანდიდატის ვაქცინაციის საკითხი“.

### „ნიუსფრონტი“

„ნიუსფრონტის“ ქართულმა რედაქციამ რუსული ვაქცინის საკითხი სხვა პრორუსული მედიებისგან განსხვავებული ტაქტიკით გააშუქა. მას რუსულ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიოსა“ და „სპუტნიკის“ მსგავსი პროპაგანდისტული მასალა არ გამოუქვეყნებია. თუმცა, ამავდროულად, „ნიუსფრონტმა“ არც რუსულ ვაქცინასთან დაკავშირებული კრიტიკული შეკითხვები გააშუქა. მისი განსხვავებული ტაქტიკა ძირითადად იმაში გამოიხატა, რომ რუსულ ვაქცინასთან დაკავშირებით ახალი ამბებს შერჩევითად აქვეყნებდა. მან გააშუქა მხოლოდ ის სიახლეები, სადაც რუსული ვაქცინა გაკრიტიკებული არ იყო.

„ნიუსფრონტის“ სტატიაში - „კორონავირუსის პირველი ვაქცინა დარეგისტრირდა - პუტინი“ ძირითადად რუსეთის პრეზიდენტისა და ჯანდაცვის მინისტრების ციტატებია მოყვანილი. სტატიაში წყაროდ „სპუტნიკის“ შემდეგი სამი მასალა გამოიყენა:

1. მსოფლიოში პირველი: რუსეთი კორონავირუსის ვაქცინას დაარეგისტრირებს;
2. რუსეთმა ანტიკორონავირუსული ვაქცინის კლინიკური გამოცდები დაასრულა;
3. „ვექტორი“: ვაქცინის მასობრივი წარმოება რუსეთში წლის ბოლოს დაიწყება).

გარდა ამისა, „ნიუსფრონტმა“ „ნიუპოსტის“ სიახლე გამოაქვეყნა **სათაურით**: „**ვლადიმირ პუტინი: მსოფლიოში პირველი ანტიკორონავირუსული ვაქცინა ოფიციალურად დარეგისტრირდა, ჩემი ქალიშვილი უკვე აიცრა**“. „ნიუსფრონტმა“ კიდევ ერთი **სტატია** რუსული ვაქცინის ცხვირში ჩაწვეთების გზით გაკეთებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა.

„ნიუსფრონტმა“ ვებგვერდზე ახალი ამბების სააგენტო GHN-ის **სიახლე**, სათაურით „**კორონავირუსის წინააღმდეგ პირველი სამამულო ვაქცინა შექმენით - რუსეთის თავდაცვის სამინისტრო**“ გამოაქვეყნა.

ახალი ამბების შერჩევითად გამოქვეყნების ხერხი გამოჩნდა „ნიუსფრონტის“ კიდევ ორ სიახლეში, რომლებიც „პრაიმტაიმიდან“ და „ინტერპრესნიუსიდან“ გადაიტანეს -

- 1) **მოლდოვას პრეზიდენტი მზად არის რუსული ვაქცინა საკუთარ თავზე გამოსცადოს**
- 2) **ფილიპინების პრეზიდენტი: მჯერა, რომ ვაქცინა, რომელიც რუსეთმა შექმნა, ნამდვილად სასიკეთოა მსოფლიოსთვის; მე ვიქნები პირველი, რომელზეც ექსპერიმენტი ჩატარდება.**

ამასთან, 18 აგვისტოს „ნიუსფრონტმა“ მანიპულაციური Facebook-პოსტიც **გამოაქვეყნა** ტექსტით:

**“სასაცილო” ქრონოლოგია\_**

- 1) **აშშ არ აღიარებს რუსეთში შექმნილ ვაქცინას.**
- 2) **აშშ რუსეთს აბრალებს, რომ ვაქცინის ტექნოლოგია მათ მოპარეს.**
- 3) **აშშ ცდილობს ვაქცინის შემქმნელ რუს მეცნიერთა გადაბირებას.** 😂😂😂

რეალურად, აშშ-ს კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსულ ვაქცინასთან მიმართებით ეჭვები მართლაც აქვს. აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და კანადამ რუსი ჰაკერები ვაქცინის შესახებ ინფორმაციის მოპარვის მცდელობაში **დაადანაშაულეს**. ამდენად, ნიუსფრონტის სატირული პოსტი უსაფუძვლოა, რადგან მოსკოვი თავად ცდილობდა ამერიკული, ბრიტანული და კანადური კვლევითი ცენტრებიდან ინფორმაციას მოპარვას.

### **„საქინფორმი“**

კიდევ ერთი ონლაინმედია „საქინფორმი“, რომელიც რუსული ნარატივების გამეორებითაა ცნობილი, კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსულ ვაქცინასთან დაკავშირებით დეზინფორმაციას აქტიურად ავრცელებს.

„საქინფორმის“ **მიხედვით**, „ვაქცინის მიწოდებაზე რუსეთთან მოლაპარაკებებს 50 ქვეყანა აწარმოებს“. მეტიც, „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი, **ამტკიცებს**, რომ „აშშ-ს, როგორც ჩანს, დაავიწყდა ოკუპირებული აფხაზეთი, სამაჩაბლო და საქართველოსთან ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რადგანაც რუსეთს

კორონავირუსის ვაქცინა სთხოვეს“. მოცემული განცხადება ყალბ ამბავს წარმოადგენს, რადგან რუსეთმა აშშ-ს COVID-19-ის ვაქცინასთან დაკავშირებით დახმარება და „უპრეცედენტო თანამშრომლობა“ შესთავაზა, მაგრამ აშშ-მა უარი **განაცხადა**. რუსეთის ოფიციალური პირების მიხედვით, აშშ-ის კომპანიები რუსული ვაქცინით დაინტერესებულნი არიან, თუმცა აღნიშნული კომპანიები არ სახელდება. სინამდვილეში, აშშ-ის ხელისუფლებამ რუსეთისა და რუსული ვაქცინის უნდობლობის გამო რუსეთის დახმარება არ მიიღო. მეტიც, აშშ-ის მთავრობაში ჯანდაცვის ოფიციალური პირის განცხადების თანახმად, რუსული ვაქცინა იმდენად არასრულად მიიჩნევა აშშ-ში, რომ მას აშშ არათუ ადამიანებზე, არამედ მაიმუნებზე არავითარ შემთხვევაში არ გამოცდის.

„საქინფორმი“ რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდის ხელმძღვანელის, კირილ **დიმიტრიევის**, **განცხადებაზე** დაყრდნობით **წერს**, რომ „ამერიკელებმა და ევროპელებმა ქართველებს დაასწრეს და რუსებს კორონავირუსის ვაქცინა სთხოვეს“. რეალურად, კირილ დიმიტრიევი არა აშშ-ზე ან ევროპულ სახელმწიფოებზე, არამედ კერძო კომპანიებზე მიუთითებს, თუმცა არც ერთ მათგანს არ ასახელებს.

არნო ხიდირბეგიშვილის **აზრით**, „ხსნა მხოლოდ ვაქცინაშია, მსოფლიოში კი მხოლოდ ერთი ვაქცინაა რეგისტრირებული - რუსული, რომლის მისაღებად უკვე გრძელი რიგია და რომელსაც პირველი ბელარუსი მიიღებს“. ის მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და აქედან გამომდინარე, ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას მოუწოდებს „რუსეთს ვაქცინა ვთხოვოთ“. მისი აზრით, უკრაინას საქართველოსგან განსხვავებით ვაქცინის თხოვნა არ შეუძლია, რადგან, მაგალითად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ახალი უკრაინული ეკლესიისთვის გადაცემული ტომოსი არ უღიარებია, რაც ეკონომიკური კავშირების გარდა რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის კიდევ ერთი ჰუმანიტარული არგუმენტია.

არნო ხიდირბეგიშვილმა რუსული ვაქცინის შემოტანისკენ ხელისუფლებას მორიგ **სტატიაშიც** მოუწოდა და მისი შეთავაზების გასამყარებლად ოთხი არგუმენტი დაამატა, რომლებიც დეზინფორმაციას შეიცავს და კრემლის პროპაგანდას ზედმიწევნით იმეორებს:

1. "Sputnik - V" არის მსოფლიოში პირველი ოფიციალურად რეგისტრირებული ვაქცინა, რომლისთვისაც უკვე დადგა 50 ქვეყნის გრძელი რიგი და რომელსაც გართულებები არ ახლავს“.
2. „მისი წარმოება და ვაქცინაცია რუსეთში უკვე დაწყებულია, რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელები და მათი ოჯახის წევრებიც უკვე აიცრნენ, ხოლო ამერიკული, გერმანული და ინგლისური ვაქცინები ჯერ მხოლოდ შემუშავების და ტესტირების ეტაპზეა“.
3. „რუსული ვაქცინის მოქმედების მექანიზმი მარტივია, ისევე როგორც ყველაფერი გენიალური. გარდა ამისა, ამერიკულისგან განსხვავებით, იგი მზადდება ადამიანის და არა მაიმუნის ვირუსზე. რუსებმა ყველას გაუსწრეს, რადგან დიდი ხანია მუშაობენ მონათესავე ვირუსების საწინააღმდეგო ვაქცინაზე, მაგალითად - ებოლას, რომელიც საშინელ ეპიდემიებს იწვევს“.



4. „ის შემუშავებულია საპატიო აკადემიკოსის ნ. თ. გამალების სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ, რომლის მრავალი მიღწევა აღიარებულია და გამოიყენება მთელ მსოფლიოში, მათ შორის აშშ-ში“.

რუსული ვაქცინის წარმოება მართლაც დაწყებულია და ამერიკული და ბრიტანული ვაქცინები ჯერჯერობით კვლავ ტესტირების ეტაპზე არიან. თუმცა, ამის მიზეზი რუსეთის მხრიდან ტესტირების ყველაზე მნიშვნელოვანი - მესამე ფაზის გამოტოვებაა. ამერიკელი და ბრიტანელი მეცნიერები უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით, ამჟამად კლინიკური ტესტირების მესამე ფაზაზე არიან, რომელმაც, საბოლოოდ, უნდა დაადასტუროს ვაქცინის უსაფრთხოება და ეფექტიანობა. ამდენად, რუსული ვაქცინის უსაფრთხოებასა და ეფექტურობაზე მტკიცებები მანიპულაციური.

## წყაროების შესახებ

„საქართველო და მსოფლიო“

„საქართველო და მსოფლიო“ არაერთხელ ყოფილა შემჩნეული **ყალბი** ამბების გავრცელებაში. გაზეთი გამოირჩევა მკვეთრად პრორუსული სარედაქციო პოლიტიკით. გაზეთი იმეორებს კრემლის **ნარატივს** მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტისა და მეორე მსოფლიო ომის შესახებ, რუსეთის „გრუ“-ს მიერ საქართველოზე განხორციელებულ კიბერთავდასხმასთან **დაკავშირებით**. „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსცემს ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომლის საბჭოს წევრიც არის ალექსანდრე ჭაჭია. იგი რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა 2008 წლის ივლისში „რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი დიდი წვლილის გამო“ ორდენით **დააჯილდოვა**.

„სპუტნიკი“

damoukidebloba.com-ის **ანგარიშის** მიხედვით, „სპუტნიკი“ რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. ის მსოფლიოს მასშტაბით 2014 წლიდან ფუნქციონირებს. „სპუტნიკი“ რუსეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტისა“ და რადიო „რუსეთის ხმის“ უცხოენოვანი სამსახურია, ხოლო მისი ხელმძღვანელი დიმიტრი კისილიოვია. „სპუტნიკი“ სხვადასხვა ქვეყნიდან მართავს საკუთარ საიტს და ადგილობრივი რადიოსადგურებიდან მაუწყებლობს. „სპუტნიკის“ ოფისში განთავსებულია "Россия сегодня"-ს (ყოფილი რია ნოვისტის) პრესცენტრიც. აღნიშნულ პრესცენტრში პრესკონფერენციები ჩაატარეს „მრავალეროვანი საქართველოს ანტიფაშისტურმა კოალიციამ“ (რევაზ გოგიძე და გენერალი ტრისტან წითელაშვილი); „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკურმა მოძრაობამ“, „ევრაზიის ინსტიტუტის“ თანამშრომელმა შოთა აფხაიძემ, რომელიც ამჟამად „ნიუსფრონტის“ რედაქტორია და სხვებმა.

საქართველოში „სპუტნიკის“ სამი რედაქციაა: სპუტნიკ-საქართველო, სპუტნიკ-აფხაზეთი და სპუტნიკ-სამხრეთ ოსეთი.

#### „ნიუსფრონტი“

„ნიუსფრონტის“ ქართული ოფისი ანექსირებული ყირიმიდან მართული News Front-ის ნაწილია და ქართულის გარდა კიდევ 8 ენაზე ოპერირებს. News Front-ი 2014 წელს დაარსდა. სხვადასხვა მედია ანგარიშის მიხედვით, ის რუსეთის უსაფრთხოების სამსახურისგან („ეფ-ეს-ბე“) ფინანსდება. ISFED-ის ანგარიშის მიხედვით, „ნიუსფრონტი“ რუსეთის ფედერაციის კომუნიკაციების მარეგულირებელი სააგენტოს „როსკომნადზორის“ ბრძანებით არის დაარსებული. ის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყალბ ამბებსა და დეზინფორმაციას ავრცელებს. საერთაშორისო სიახლეების სექციაში ძირითადად ისეთი რუსული სახელმწიფო მედიების მასალა გვხვდება, როგორებიცაა Russia Today, „სპუტნიკი“ და RIA Novosti.

„ნიუსფრონტის“ საქართველოს ოფისსაც არაერთხელ გაუვრცელებია დეზინფორმაცია მათ შორის, კორონავირუსის შესახებ. მისი Facebook-გვერდის ადმინისტრატორი იყო - კონსტანტინე ჩიკვილაძე, რომელიც ამავდროულად პრორუსული გაზეთის - „საქართველო და მსოფლიო“ – Facebook-გვერდსაც მართავდა. „ნიუსფრონტის“ ქართული ოფისის რედაქტორები შოთა აფხაიძე და გულბაათ რცხილაძე არიან. გულბაათ რცხილაძე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარეა. მისი ინტერვიუების მიხედვით, ის საქართველოს NATO-ში გაწევრიანებისკენ აღებულ კურსს ეწინააღმდეგება და მიიჩნევს, რომ საქართველოს რუსეთთან იდეალური ურთიერთობები უნდა ჰქონდეს. მისი აზრით, საქართველოს NATO-ში შესვლა ტერიტორიების სამუდამოდ დაკარგვას გამოიწვევს. რაც შეეხება შოთა აფხაიძეს, იგი 2010 წელს ტელეკომპანია „კავკასიაში“ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრებთან ერთად შეჭრის გამო დაიჭირეს და პატიმრობა მიუსაჯეს. შემდგომ იგი პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა და „ევრაზიის ინსტიტუტის“ პროექტების მენეჯერი გახდა. მან 2013 წელს ვლადიკავკაზში ვიზიტის დროს ბრიფინგებსა და ინტერვიუებში განაცხადა, რომ „2008 წლის აგვისტოში ადგილი ჰქონდა ოსი ხალხის გენოციდის მცდელობას სააკაშვილის მხრიდან“.

30 აპრილს Facebook-მა „ნიუსფრონტის“ საერთაშორისო ქსელთან დაკავშირებული Facebook-გვერდები, ანგარიშები და ჯგუფები წაშალა. მათ შორის, „ნიუსფრონტის“ ქართული რედაქციის Facebook-გვერდიც წაიშალა. ISFED-ის ანგარიშის მიხედვით „ნიუსფრონტის“ მასალას საქართველოში 12 არავთენტური ანგარიში ავრცელებდა. თუმცა „ნიუსფრონტი“ Facebook-ში აქტიურობას კვლავ განაგრძობს. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იხილეთ „ფაქტ-მეტრის“ სტატიაში - „როგორ განაგრძობს საქმიანობას „ნიუსფრონტი“.

#### „საქინფორმი“

პრორუსული გამოცემა „საქინფორმის“ (Saqinform.ge) დომეინს ფლობს პრორუსული ორგანიზაცია შპს „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომლის საკუთრებაშიცაა „საქართველო და მსოფლიო“. გამოცემის რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი გამოირჩევა ღიად პრორუსული პოზიციებით, ყარსის ხელშეკრულებაზე მცდარი აქცენტებით, ანაკლიის პორტის კრიტიკითა

და მისი გაიგივებით ამერიკულ საზღვაო სამხედრო ბაზასთან და ა.შ. ასევე „საქინფორმი“ გრუს მიერ საქართველოზე განხორციელებულ კიბერშეტევასთან დაკავშირებით ოფიციალური მოსკოვის ნარატივებს [ავრცელებდა](#). „საქინფორმმა“ პრორუსული პროპაგანდის [გავრცელებისთვის](#) კორონავირუსის საკითხიც აქტიურად [გამოიყენა](#). აღსანიშნავია, რომ ხიდირბეგიშვილის სტატიები ქვეყნდება ისეთ ანტიდასავლურ რუსულ ინტერნეტ-პორტალებზე როგორებიცაა regnum.ru, და sputniknews.ru-ს ქართულ გამოცემა sputnik-georgia.ru.

